საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50სა მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

სამშაბათი, ნოემბრის 7

1922 წ.

# დღეს ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავია.

1917 წლის ოქტომბრის 25 რუსეთის მუშათა ჯარმა ხელთ იგდო ძალა-უფლება და შეუდგა ახალი ქვეყნის შენებას.

ხუთი წლის უმაგალითო ბრძოლით საბოლოოდ განმტკიცდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება საბჭოთა სისტემის ნიადაგზედ.

საბჭოთა რესპუბლიკები მომავალი მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ავანგარდია.

## გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს და მათ ძმურ კავშირს!

## რევოლიუციის ხუთი წლის თავზე

დღეს ხუთი წელი სრულდება ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რომელსაც განსაკუთრებული ზეიმითა და აღფრთოვანებით ეგებება, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები.

ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის მშრომელმა გლეხობამ და პროლეტარიატმა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებთან ერთად დიდის ენერგიით და თავგამოდებით დაიცვეს თავიანთი ხელისუფლების არსებობა და ურყევი საფუძვლები შექმნეს მისი შემდეგი განვითარებისა და წარმატებისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავი ძვირფასი და მნიშვნელოვანია არა მარტო მით, რომ გამოხატავს პროლეტარიატის ხუთი წლის ბატონობის ისტორიას, არამედ მითაც, რომ ამ ხნის განმავლობაში მტკიცე ნიადაგი ჩაეყარა და შეურყეველი საფუძვლები გამტკიცდა მსოფლიო რევოლიუციის გასაჩაღებლად და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად.

როგორც საგარეო ფრონტზედ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხში, ისე შინაურს სამშენებლო მუშაობაში, სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკურს ფრონტზედ ოქტომბრის რევოლიუციამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. განვლილი ისტორია და გაწეული ბრძოლა უძვირფასესი თავდებია იმისა, რომ მომავალში საერთაშორისო პროლეტარიატი შესძლებს უფრო უდიდესი გამარჯვებების მიღწევასა და თავისი მიზნების კეთილად დაგვირგვინებას. საბჭოთა რესპუბლიკები საერთაშორისო რევოლიუციის ყავარჯენია, მისი უდიდესი ფაქტორი და ენერგიის მომცემი ძალა. აქედან ეღებება მსოფლიო პროლეტარიატს რევოლიუციონური ენტუზიაზმის ენერგია, ეძლევა ახალი ბრძოლის მეთოდები და სამოქმედო პროგრამა. იმდენად, რამდენადაც ეს ძალა შესძლებს განამტკიცოს თავისი არსებობა, შექმნას წარმატების ურყევი საფუძვლები, იმდენად ჩვენს წინ იქმნება და მტკიცდება საერთაშორისო რევოლიუციის წარმატების ფაქტორები. იმ შავი ძალების საპასუხოთ, რომელნიც გაჰკივიან, რომ საერთაშორისო რევოლიუცია დამარცხდა და ფართო ნიადაგი ეყრება კაპიტალისტურ მშენებლობასო, ჩვენ შეგვიძლია თამამად მიუთითოთ ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავზედ და იმ ბრწყინვალე შედეგებზედ, რომელსაც მიაღწია მშრომელმა დემოკრატიამ დიდი ბრძოლისა და ენერგიის დახარჯვით.

ოქტომბრის რევოლიუციას თავისი განვითარების მომენტები აქვს. იყო ხანა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს შევიწროებასა და კრიზისს განიცდიდა გარს შემორტყმულ კონტრ-რევოლიუციის წყალობით. საერთაშორისო ბურჟუაზიამ გამარჯვებულ ანტანტის მეთაურობით კონტრ-რევოლიუციის მაგარი რკალი შემოარტყა საბჭოთა რუსეთს და სცდილობდა მოესპო მისი არსებობა. ამ რკალის მთლიან რგოლებს წარმოადგენდა ერთის მხრით კოლჩაკ-დენიკინ, ვრანგელის კონტრ-რევოლიუციონური არმია, რომლის მთავარი დანიშნულება იყო საზღვარი დაედვა რუსეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის და მეორეს მხრით, ახლად აღმოცენებული სახელმწიფოები ფინეთიდან დაწყებული ბალტიკის სანაპიროებით შავს ზღვამდე, რომელნიც გარდუვალ ზღუდეთ აღმართა ანტანტამ რევოლიუციასა და კაპიტალისტურ ევროპას შორის და ერთგვარი „სანიტარული კარდონის" როლი დაეკისრათ. ასეთს რკალში იყო მომწყვდეული საბჭოთა რუსეთი სამი წლის განმავლობაში. ეკონომიური ბლოკადა, ინტერვენცია, შინაური ბანდების მოწყობა და სამოქალაქო ომი, აი ის საშუალებანი, რომელსაც მიჰმართავდა ანტანტა საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის დროს. მაგრამ სამი წლის ენერგიულმა ბრძოლამ და სახელოვან წითელ არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლიუციონური ძალები, რომელნიც დენიკინ-კოლჩაკ-ვრანგელის სახით უპირისპირდებოდნენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და შექმნა შინაურს ფრონტზედ პოლიტიკური სიმტკიცე. ასეთმა გამარჯვებამ გამოიწვია ბლოკადის რკალის გარღვევა და საერთაშორისო ძალებს შორის პოლიტიკის რევიზია; მოსაზღვრე ახლად აღმოცენებული სახელმწიფოები იძულებულნი შეიქმნენ საზღვაო ურთიერთობაში შესულიყვნენ საბჭოთა რუსეთთან და ნორმალური პირობების აღდგენაზედ ეზრუნათ. ეს იყო დასაწყისი რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში შეჭრისა. ანტანტის პოლიტიკა დამარცხდა; მან იარაღით ხელში ვერ გაანადგურა რუსეთი, ვერ მოსპო მუშურ-გლეხური ხელისუფლება; ანტანტის ტანკებთან ერთად უძლური გამოდგა ეკონომიური ბლოკადაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა რევიზია, გადასინჯვა ანტანტის პოლიტიკისა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ეს გარემოება გამოწვეული იყო, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სიძლიერითა და სიმტკიცით შინაურს ფრონტზედ, ისე იმ დიდი ეკონომიური კრიზისითა და წინააღმდეგობებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებში. ევროპამ ვერ შესძლო ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევა რუსეთის ბაზრის გამოუყენებლად და ნორმალური ურთიერთობის აღდგენა გარეშე იმავე რუსეთისა.

ამ გარემოებამ გამოიწვია დაახლოვება საბჭოთა რუსეთისა და კაპიტალისტურს ევროპის შორის. ეს დაახლოვება გამოიხატა, როგორც ეკონომიურს დამოკიდებულებაში, ისე პოლიტიკურს ურთიერთობაში. ოქტომბრის გადატრიალებიდან 1920 წლის აპრილამდე ევროპიდან არც ერთი ფუთი საქონელი არ შესულა რუსეთში და არც რუსეთს ჰქონდა საშუალება გაეტანა ევროპაში. ამ დღიდან დაიწყო ძველი ბლოკადის გარღვევა და ევროპის საქონელი გამოჩნდა რუსეთის ბაზარზედ. დღეს, როგორც ვიცით, ეკონომიური ურთიერთობა ფართო მაშტაბით მიემართება და რუსეთის იმპორტისა და ექსპორტის საქმე ინტენსიურს ხასიათს ღებულობს. ევროპასა და ამერიკას მილიონ ფუთობით შეაქვს საქონელი საბჭოთა რუსეთში, აგრეთვე საბ. რუსეთს საშუალება ეძლევა თავისი მხრით გაიტანოს ევროპაში გადარჩენილი ნედლი მასალა. ევროპის კაპიტალის იმპორტის საქმე რუსეთში თანდათან უმჯობესდება კონცესიების აღების სახით, ეს არის უდიდესი გამარჯვება საბჭოთა პოლიტიკისა.

მაგრამ არა ნაკლები გამარჯვება იქმნა მიღწეული პოლიტიკური ურთიერთობის საკითხშიაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. 1919 წელში, როდესაც რეაქცია ჯერ კიდევ მძვინვარებდა რუსეთში და კონტრ-რევოლიუცია შევიწროებას აყენებდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, საბჭოთა მთავრობამ ნოტით მიჰმართა ანტანტის სახელმწიფოებს და წინადადებას აძლევდა ზავის ჩამოსაგდებლად, რომლის პირობად წამოყენებული იყო ვალების ცნობა, იარაღის დაყრა, ბრძოლის შეწყვეტა დენიკინ-კოლჩაკის წინააღმდეგ. ეს პირობა უდიდეს სამეურნეო ერთეულებს ხელში უტოვებდა რეაქციას და ფაქტიურად უდრიდა მათს ცნობას. მაგრამ ევროპის ბურჟუაზიამ უარი განაცხადა „მოსკოვის ყაჩაღებთან" მოლაპარაკებაზედ და მშვიდობიან პირობებს იარაღი აჯობინა. საქმის ვითარებამ იმედები არ გაუმართლა ანტანტის მოძალადეებს და წითელი არმიის ძლევამოსილმა გამარჯვებამ სულ სხვა კალაპოტზედ დააყენა მათ ბოლოს და ბოლოს ლაპარაკი. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და მან საერთაშორისო პოლიტიკაში ერთი ელემენტალური ადგილი მოიპოვა. ვერც ერთ კითხვას რეალურად ვერ სწყვეტს ევროპა გარეშე საბჭოთა რუსეთისა და მთელი მისი ცდა მიმართული არის როგორმე დიპლომატიურის საშუალებით მშვიდობიანი გზით მონახოს საერთო ენა რუსეთთან. შინაგანის წინააღმდეგობათა ეკონომიური კრიზისებით მოცული კაპიტალისტური ევროპა იძულებული შეიქმნა, ისტორიის ლოღიკის ძალით, გენუასა და ჰააგაში მთელი თვეები „მოსკოვის ყაჩაღებთან" ერთად შემოსხდომოდა დიპლომატიურს მაგიდას, მართალია, აქ ვერ მოინახა საერთო ენა ევროპასა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, მაგრამ თვით ფაქტი მოლაპარაკების დაწყებისა ნათელი საბუთია იმისა, რომ ანტანტამ გადასინჯა თავისი ძველი პოლიტიკა და აღიარა საბჭოთა რუსეთის რეალური სიძლიერე. რაპალოსა და სხვა ხელშეკრულებანი, რომელიც დაიდვა ევროპის სახელმწიფოებთან, აშკარად ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ევროპა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება მონახოს საერთო ენა საბ. რესპუბლიკებთან პრაქტიკულს ნიადაგზედაც. დღეს, როგორც ვიცით ანტანტა ვერ ბედავს ურუსეთოდ გადასწყვიტოს სრუტეების საკითხი და ლოზანას კონფერენციაზედ ამ საკითხის განხილვის დროს მოწვეულია იგიც. ყოველივე ეს ფაქტები ურყევი საბუთია საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკის გამარჯვებისა და მათი ფაქტიურად ცნობისა. ამ ფაქტიურ ცნობას კი აუცილებლად მოყვება იურიდიული ცნობაც, რაც თავის თავად ნიშნავს რევოლიუციის სიძლიერის წინაშე ქედის მოხრას.

ამ გვარად დღეს ჩვენ ვიმყოფებით კაპიტალისტურ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების მორიგების წინა ხანაში. საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებამ და მსოფლიოში შექმნილმა გარემოებამ ორივე ძალა აიძულა მშვიდობიანის ენით დაეწყო ლაპარაკი და მოენახა შესათანხმებელი ნიადაგი. ევროპა იძულებული ხდება აღიაროს საბჭოთა რესპუბლიკების მნიშვნელობა და ძალა. სულ ახლო წარსულში ისინი ამ ფაქტს უარყოფდნენ, დღეს კი იძულებული ხდებიან სხვა გვარი ენით დაიწყონ ლაპარაკი. ეს არის უდიდესი გამარჯვება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო ფრონტზე,—ამით საერთაშორისო კონტრ-რევოლიუცია ანგარიშს უწევს რევოლიუციის ძალას და სცნობს მას მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალურ ელემენტად.

არა ნაკლებ გამარჯვებას მიაღწია რევოლიუციამ თავის შინაურს ფრონტზე: სამეურნეო და პოლიტიკურ მშენებლობის საქმეში. განმტკიცება სახელმწიფო აპარატისა და გაჯანსაღება მისი სამოქმედო ფუნქციებისა საგრძნობი ტემპით ვითარდება. დღეს, როგორც ვიცით ფართო გეგმებით სწარმოებს მუშაობა საბ. რესპუბლიკებს შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად. რამდენადაც არ უნდა აფარებდეს ეს გეგმები დეფექტებს, მისი მნიშვნელობა მაინც შეურყეველია.

რაც შეეხება სამეურნეო ფრონტს, აქ ჩვენ მრავალი მნიშვნელოვანი მომენტები განვიცადეთ. „სამხედრო კომუნიზმმა" ადგილი დაუთმო ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ეს არსებითად ნიშნავს მორიგებას კაპიტალისტურ ელემენტებთან და ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ხანის პროგრამას აღდგენას. „სამხედრო კომუნიზმი", რომელიც შეიქმნა სამოქალაქო ომის პროცესში და რომლის მიზანი იყო მთელი წარმოების ნაციონალიზაცია, მიუღებელი შეიქმნა რუსეთის ეკონომიურ სინამდვილისათვის. ახალმა პერიოდმა წამოაყენა ახალი პროგრამა რეალურ ცხოვრებასთან შეფარდებული და სოციალურ ძალების მიერ მისაღები: რუსეთი წვრილ ბურჟუაზიული ქვეყანაა უმთავრესად; მსხვილ ინდუსტრიასთან ერთად იქ დიდი ადგილი აქვს წვრილ კაპიტალისტურ ელემენტებსა და პატრიარქალურ წარმოებას. სასოფლო მეურნეობა უმთავრესი ელემენტის როლში გამოდის რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. ყოველივე ეს გარემოება მოითხოვდა დათმობითი პოლიტიკის წარმოებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებმა მისცა საშუალება და გასავალი კაპიტალისტურ ელემენტებს და მასთანვე შესაძლებელი გახდა მშრომელი გლეხობის და პროლეტარიატის ინტერესების შეფარდება. ამ პოლიტიკით იქმნება ახალი სამეურნეო კატეგორიები: სახელმწიფოს ხელში რჩება ინდუსტრიის მთავარი დარგები, რომელნიც ტონს აძლევს რთულ ეკონომიურ ცხოვრების ვითარებას; მასთანვე იქმნება შერეული ელემენტები და კერძო წვრილი კაპიტალისტური წარმოებაც.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ დიდი იმედები აღუძრა ანტი საბჭოთა პარტიებს, რომელნიც კაპიტალისტური მეურნეობის რესტავრაციაზედ ოცნებობენ მენშევიკ-ესერების პარტიები დღეს კაპიტალიზმისაკენ უკან დაბრუნების პლატფორმასა და გარდამავალ გეგმებს აყენებენ. საბჭოთა სისტემიდან—დემოკრატიულ რესპუბლიკისაკენ, აი მათი პოლიტიკის შინაარსი. მაგრამ ახალი პოლიტიკის ორი წლის გამოცდილებამ და მუშურ-გლეხური ხელისუფლების სიძლიერემ სამუდამოდ დაუკარგა მათ იმედები ძველი წყობილების აღდგენისა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ისე როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანობის ჩამოგდების დაწყება არის გრანდიოზული სტრატეგიული გეგმა, რომელსაც მოითხოვს რევოლიუციის თანავე ვითარება. დღეს არის შესვენების პერიოდი, რევოლიუციონური ძალების უფრო გამაგრებისა და განმტკიცების ხანა, ამ პერიოდში საჭირო ხდება მოწინააღმდეგე ელემენტებთან მორიგება, რომ განახლებული ენერგიით გადავიდეს პროლეტარიატი შეტევაზედ ყოველი მიმართულებით და განამტკიცოს თავისი ბატონობა.

რევოლიუციის ხუთი წლის თავზედ, როდესაც ხდება განვლილ ეტაპებისა და ბრძოლის მეთოდების გადასინჯვა, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთის კომუნარებმა შესანიშნავად დაიჭირეს გამოცდა ყოველს საკითხში და რეალურად გაამაგრეს რევოლიუციის საფუძვლები ყოველს ფრონტზე.

დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი ამ ბრწყინვალე დღესასწაულს აღფრთოვანებით ეგებება იმიტომ, რომ იგი არის თავდები და პირობა მისი საბოლოო გამარჯვებისა.

Sanus

# ეროვნული საკითხი და ოქტომბრის რევოლუცია

დიდი მოვლენები სოციალ ცხოვრების განვითარების პროცესში ხშირად გამოაშკარავებენ სოციალ თეორიათა ბუნებას და ქმნიან პირობებს, როგორც პრაქტიკული მოღვაწეობის, ისე თეორიული ძიების რევიზიისას. ამ მხრივ ოქტომბრის აქტი უდიდეს რევოლუციად უნდა ჩაითვალოს, რომელმაც უდიდესი ექსპერიმენტი მოახდინა სოციალ ცხოვრების გარდაქმნისა და კიდეც შესძლო თავისი არსებობის შენარჩუნება მიუხედავათ კაპიტალის მაგნატთა ყოველმხრივი თავდასხმისა.

ოქტომბრის რევოლუციის ბუნების დეტალი გარკვევა და იმ მოვლენების ანალიზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღიდან ოქტომბრის რევოლუციისა, დიდ მასალას წარმოადგენს როგორც ისტორიისათვის, ისე სოციალ მეცნიერებათა ყველა დარგისათვის, რომელსაც შეუძლია მრავალი წლების განმავლობაში ისარგებლოს ოქტომბრის რევოლუციის მოვლენებით.

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს შეადგენს ეროვნული საკითხის პრინციპიალი და პრაქტიკული მხარე ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში.

როგორც ვიცით, თებერვლის რევოლუციამ კოალიციისა და თანამშრომლობის პრინციპი წამოაყენა. კლასთა თანამშრომლობა გამოსავალი წერტილი იყო იმ ხელისუფლებისა, რომელიც ნებით ისტორიისა სცოცხლობდა ოქტომბრის რევოლუციის დღეებამდე. ეროვნული საკითხი კოალიციური მთავრობისათვის არ იდგა მწვავედ და პატარა ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლა რეაქციონურ მოვლენად ითვლებოდა.

მენშევიზმის ტრაღედია შემოზღუდა არა მარტო რუსეთის რევოლუციის ბუნების ვერ გაგებამ, რომელიც მის მიერ ბურჟუაზიულ რევოლუციად იქნა დასახული, არამედ ეროვნული საკითხის ვერ გაგებამაც, რომელიც მწვავედ დაისვა ცარიზმის ნანგრევების მაღლობზედ. ცხადია ის ძალა შესძლებდა გამარჯვებას, ვინც რადიკალ გზით მიმართავდა სოციალ და ეროვნულ საკითხთა გადაწყვეტას. ოქტომბრის რევოლუციის მესვეურთა პოლიტიკური პროგრამაც სწორედ ასეთი პროგრამა იყო. კლასთა თანამშრომლობას მან დაუპირისპირა კლასთა ბრძოლა, ეროვნულ შევიწროებისა და დამონების იდეას ეროვნული თავისუფლების იდეია.

ფედერალიზმი მიღებულ იქნა როგორც ერთა ურთიერთობის ფორმა, ხოლო სოციალიზაცია, როგორც გარდამავალი საშუალება სოციალი ტრანსფორმაციისაკენ. ამ პროგრამით ავიდა ბოლშევიზმი პოლიტიკურ სიმაღლეზე და ვიდრე ის ამ პროგრამას მკაცრად დაიცავს კიდეც დარჩება ამავე სიმაღლეზედ.

მკითხველს კარგათ მოეხსენება, ის გარემოება, რომ სოციალისტური აზროვნება უკანასკნელი ათეულ წლამდე მეტად მცირე ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს, განსაკუთრებით მარქსისტული სკოლის სოციალიზმი, როგორც კოსმოპოლიტური და მატერიალისტური დოქტრინა ვერ ამჩნევდა ეროვნულ მომენტს და კლასთა ბრძოლის თეორიით, საზომით იყო მის მიერ განხილული ყოველი ფენომენი სოციალ ცხოვრებისა, ცხადია ცალ-მხრივი თეორია ცხოვრების სინამდვილეს უნდა გაესწორებოდა და თუ ერთი მხრით ეროვნულ საკითხს მარქსისტულ თეორიაში გაუჩნდა დამცველნი შპრინგერ-ბაუერის, კაუცკის, რ. ჰილფერდინგისა და სხვების სახით, მეორე მხრით მარქსისტულ პრაქტიკაშიაც ოქტომბრის რევოლუციამ რევიზია მოახდინა ეროვნული საკითხის სფეროში და ცენტრალისტური, თეორიის მესვეურლემა ხელებმა მაღლა ასწიეს ფედერალიზმის დროშა, რომელიც ანალოგია დეცენტრალიზმის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკების მიერ ფედერალიზმის მიღება არ ნიშნავს მის მიღებას პრინციპიალურად. ლენინი თავის თხზულებათა მე-19 ტომში გარკვევით აღნიშნავს ამ გარემოებას და ამბობს, რომ ფედერალიზმით ჩვენ მივალთ ცენტრალიზმამდეო და მიუგითითებს მარქსის მაგალითზედ, რომელიც უკიდურესი ცენტრალისტი იყო და მხარს უჭერდა ირლანდიის ფედერატიულ ურთიერთობას ინგლისის მიმართ. ამავე ტომში თავისი თხზულებისა ლენინი გვეუბნება, რომ სოციალიზმის მიზანს შეადგენს არა მარტო ვიწრო კარჩაკეტილობის მოსპობა და სახელმწიფოთა და ერთა დაახლოვება, არამედ ერთა შეერთებაცო.

ჩვენი თანამემამულე სტალინიც მეტად ვიწროდ უყურებს ეროვნულ საკითხს და თავის სტატიათა კრებულში გვეუბნება, რომ კავკასიაში კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გარდაიქცა უაზრო რეაქციონურ საქმეთაო. იგი წინააღმდეგია რუსეთიდან განაპირა ქვეყნების ჩამოშორების, რადგან მისი აზრით ეს იქნებოდა იმპერიალისტური პოზიციის გამაგრება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ისტორია ასწორებს ხოლმე ცალმხრივ თეორიებს და იმავე სტალინს ისტორიამ არგუნა ნაციონალ საქმეთა კომისრობა, რომლის დროს რეალი ცხოვრების კარნახმა ხელი მოაწერინა მრავალ ერის დამოუკიდებლობის აქტზედ, მაგრამ აქაც უნდა დავსძინოთ, რომ ბოლშევიკების მიერ სავსებით კიდევ არ მომხდარა ძველი მეთოდების დატოვება და ცენტრალისტური ტენდენციების საბოლოოდ უარყოფა.

ოქტომბრის რევოლუციამ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა წინ წასწია და ეს მოხდა თვით ეროვნული მომენტის სიმძლავრის მეოხებით და არა რევოლუციის ხელმძღვანელთა იდეოლოგიით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით ვერ დასრულდება ეროვნული საკითხის გადაჭრა და ვინც მიიღო იგი ტაქტიკურად იგივე იძულებული გახდება რომ მიიღოს იგი პრინციპიალურად.

კაპიტალიზმა თავისი განვითარების დასაწყისი პიროვნების, მუშის ექსპლოატაციით დაიწყო ესევე კაპიტალიზმი თავის დასასრულის დასაწყისს ერთა ექსპლოატაციით ასრულებს. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გადანაწილდა ჩამორჩენილი ერები და დღეს არა მარტო მუშა ებრძვის კაპიტალისტს, არამედ კოლონია ებრძვის მეტროპოლიას. ეროვნული მოძრაობანი პარალელი ხაზით მისდევს მუშათა მოძრაობას და ამ უკანასკნელშიაც თავს იჩენს ეროვნული სხვაობის ელფერი.

ტრედ-იუნიონიზმი ინგლისში, რევოლუციონური სინდიკალიზმი და ანარქიზმი საფრანგეთში ან სოც. დემოკრატიული მუშათა კავშირები გერმანეთში სხვა და სხვა იერის მატარებელი ორგანიზაციებია.

პარიზი, მენგერის თერმინით, რომ ვსთქვათ, მქშინავი ცეცხლის ქვაბია, ლონდონი კი მელანქოლიის სამეფოა. რავაშოლი, კაზერიო, ბლანკი და სხვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ინგლისელი თუნდა იმიტომ, რომ ინგლისელები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ბუნტარები. არც ფერ. ლასალის სამშობლო შეიძლებოდა ყოფილიყო ღრუბლიანი კუნძულის დედა ქალაქი ლონდონი. იგი გერმანეთის მქუხარე ენერგიის განსახიერება იყო, რომელმაც თავისი გავლენა დააჩნია გერმანეთის მუშათა მოძრაობას.

სპეციფიურობა მუშათა ორგანიზაციების და მუშათა მოძრაობის ჩამარხულია არა მარტო იმ ეკონომიურ პირობებში, რომელშიაც უხდებათ ალორძინება მუშათა ორგანიზაციებს, არამედ იმ ეროვნულ ინდივიდუალობაშიაც, რომელიც ორგანულად, განუყრელად თანამდევრია ყოველი ადამიანის, როგორი კლასის თუ კასტის წევრიც არ უნდა იყოს იგი.

ოქტომბრის რევოლუციამ, როგორც აღვნიშნეთ ეროვნული საკითხის გადაჭრის საქმეში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ სავსებით ვერ შესძლო მისი აყვანა პრინციპიულ დებულებამდე. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ხშირად გაისმის ხოლმე სხვა და სხვა გაერთიანებაზედ ლაპარაკი და გამაერთიანებელი ტენდენციები ხელსახებია ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მართალია აქაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პიროვნულ უპასუხისმგებლობას და თუ საფრანგეთის რევოლუციას ჰყავდა მისთვის თავდადებული მებრძოლნი რობესპიერი და მარატი, ამავე რევოლუციას ჰყავდა უპრინციპო ინტრიგანი ფუშე და ბარერიც. ჩვენ არ გვიკვირს, რომ დღევანდელ რევოლუციონურ პერიოდშიაც დიდ რევოლუციონერთა გვერდით ადგილი ჰქონდეს წითლად მოგლეჯე და შავად მოაზროვნე ელემენტებს, რომელნიც პატარა სულით დაეძებენ საკბილოს. ეს შესაძლებელია ასე იყოს, მაგრამ მარტო ასეთ ელემენტთა არსებობით არ შეიძლება აიხსნას გამაერთიანებელი ტენდენციის გაძლიერების პროცესი.

მოვლენათა ობიექტიური ანალიზი იმ დებულებას გვაწვდის, რომ ოქტომბრის რევოლუციამ თუ გაიმარჯვა, იგი გაიმარჯვებს საღი ინტერნაციონალიზმის გზით, ხოლო თუ გადასცდა ამ გზას, იგი მოემწყვდევა დღევანდელი საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბში და ჩვენ მოწამენი ვიქნებით ბოლშევიზმის კაპიტულაციის.

ამ მხრივ ოქტომბრის რევოლუციის განვითარებამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და ფედერალიზმი უნდა მიიღოს არა როგორც გზა ცენტრალიზმისაკენ, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის კონსტრუქცია აგებული დეცენტრალისტურ პრინციპის მიხედვით, რომელმაც მკაცრად უნდა დაიცვას ერთა უფლებანი.

სერ. ამაღლობელი.

# რევოლუციის დღესასწაული!

დღეს შესრულდა ხუთი წელიწადი რუსეთის დიდი რევოლუციისა, რომელმაც არსებითად შეარყია პოლიტიკური საზოგადოებრივი ვითარება როგორც რუსეთის, ისე მის მიერ დამონავებულ ერების.

რას წარმოადგენდა ვეებერთელა რუსეთი წინად? იგი შემდგარი იყო სხვა და სხვა დამონავებულ ერებისაგან, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა აშენებული იყო ცენტრალიზმის უხეშ სისტემაზე, რომლის სათავეში მოსჩანდა იმპერატორი. ყოველგვარი თვითმოქმედება სახელმწიფო ღალატად იყო მიჩნეული. ყველაფერი გამომდინარეობდა ერთი ცენტრიდან და იგი უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში უცვლელად რუსეთის მიერ ყველა დამონებულ ერებში. ყოველგვარი ეროვნული თვითშემეცნება, ეროვნული სულის გამოჩენა, ეროვნული მისწრაფებათა განხორციელება, მთლიანი რუსეთის დანაწილებად იყო მიჩნეული. ყოველივე ზემო აღნიშნულს თან დაერთო იმპერიალისტური ომის წარმოება, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა და აუტანელ პირობებში ჩააგდო მშრომელი ხალხი, რომელმაც მოახდინა აქტიური გამოსვლა თვითმპყრობელობის ტახტის დასამხობად და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მის ნანგრევებზე ბრწყინვალე გამარჯვების დროშა აღმართა. განუსაზღვრელი იყო ის საერთო ზეიმი, რომელიც ძველი მთავრობის დამხობამ გამოიწვია მთელი რუსეთის მშრომელ ხალხში და დამონებულ ერებში. ბოლო მოეღო მშრომელი ხალხის საზღვარდაუდებელ ყვლეფას, ჩაგვრა-შევიწროებას და პატარა ერების დევნას. მაგრამ ის იმედები, რომელიც მშრომელ ხალხს ბედნიერებას უქადდენ ვერ განხორციელდნენ.

დღიდან თვითმპყრობელობის ტახტის დამხობისა სახელმწიფო მართვა-გამგეობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა, რომელნიც ბეც პოლიტიკის წარმოებას განაგრძობდნენ და ბურჟუაზიის აშკარა კონტრ-რევოლუციონურ ბანაკთან კვლავ შეთანხმების, შერიგების და საერთო თანამშრომლობის აზრს ქადაგებდენ. მალე მათ ბატონობასაც ბოლო მოეღო და 25 ოქტომბრის რევოლუციამ ძირ-ფესვიანად შეარყია ბურჟუაზიულ რეჟიმის დედაბოძი და მშრომელთა კლასს სანეტარო ცხოვრების ახალი სურათი გადუშალა, კაპიტალიზმის იდეამ ადგილი დაუთმო სოციალიზმის იდეას, ცენტრალიზმმა ფედერაციას.

დიადია ოქტომბრის რევოლუცია, რომელსაც დღესასწაულობს რუსეთის პროლეტარიატი, რომელთან ერთად ასეთივე აღფრთოვანებით ზეიმობს დღეს ჩაგრულ ერების მასსები.

ოქტომბრის რევოლუციამ შესაძლებელი გახადა ჩვენი ერის დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან ჩაუყარა საფუძველი, შექმნა შესაძლებლობა ჩვენი ეროვნული სოციალისტური კულტურის განვითარებისად, ამიტომ გამოდის დღეს სადემონსტრაციოდ ქუჩაში საქართველოს მშრომელი კლასი, რომელიც რუსეთის მშრომელ კლასთან ერთად დღესასწაულობს რევოლუციის დიად დღეს.

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას!

გაუმარჯოს მშრომელთა ძალა-უფლებას!

ნოე მეხსი.

# კომინტერნის კონგრესი

დღეს იხსნება კომინტერნის მე-4 კონგრესი. ორი ჯგუფი დელეგატებისა, რიცხვით 75 კაცი უკვე ჩამოვიდა პეტროგრადს გემით. ნაწილი გაემგზავრა მოსკოვში, ნაწილიც გაემგზავრება ამ დღეებში. დელეგატებთან ერთად ჩამოსულია პრესის წარმომადგენელნი და კორესპონდენტი. დელეგატებზე პეტროგრადმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ჯერჯერობით დელეგატები ჩამოსულია ინგლისიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან, ოსმალეთიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, რუმინეთიდან, იტალიიდან, მექსიკიდან, ეგვიპტიდან და ჩინეთიდან.

დელეგატებს შორის არის ცნობილი ხელმძღვანელები სხვა და სხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების, რომლებმაც საუბრის დროს განაცხადეს კომუნისტური პარტიის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობები.

**კომინტერნის აღმასკომის გაფართოვებული პლენუმი**

30 ოქტომბერს გაიხსნა გაფართოვებული პლენუმი კომინტერნის აღმასკომისა. კონგრესი 4 ნოემბერს გაიხსნება პეტროგრადში, ხოლო 7 ნოემბერს იგი შეუდგება მუშაობას მოსკოვში ამხ. ლენინის მოხსენებით.

სხდომები გაიმართება დიდ თეატრში. კონგრესის დასრულების შემდეგ შესდგება კომუნისტურ ახალგაზრდობის მე-3 საერთაშორისო კონგრესი. ოც ნოემბრიდან დაიწყება მუშაობა პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესის.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.** მუშათა პარტიის მიერ გამოქვეყნებულ საარჩევნო მანიფესტში, რომელშიაც არც ერთი სიტყვა არ არის რუსეთის შესახებ, აღნიშნულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, პარლამენტის პროცედურის რეფორმა და მინისტრების მოქმედებაზე თემთა პალატის კონტროლი.

მანიფესტი სრულდება შემდეგი დეკლარაციით: „პროგრამა მუშათა პარტიისა არის საიმედო საფუძველი ძალდატანებისა და კლასთა ბრძოლის საწინააღმდეგოდ, დემოკრატიულ მთავრობას ინგლისში შეუძლია გამარჯვება ძალდატანების და სისხლის ღვრის გარეშე. უფრო სამართლიანი განაწილება ნაციონალური სიმდიდრის არ ნიშნავს არც ბოლშევიზმს და არც კომუნიზმს. ეს არის მოთხოვნილება საღი გონების და სამართლიანობის. მუშათა პარტია წინააღმდეგია, როგორც რეაქციის ისე რევოლუციის“.

**დამოუკიდებელი ლიბერალები**, არჩევნებში გამარჯვების შანსები დამოუკიდებელ ლიბერალთა წრეში დიდია, ვიდრე ოდესმე. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს 200 ადგილის დაპყრობაზე. გადაწყვეტილია, რომ ისინი არ შევლენ ბლოკში ლოიდ ჯორჯთან და მის მომხრეებთან, რომელნიც ამიერიდან იწოდებიან „ნაციონალ-ლიბერალებად“.

მრავალნი მსგავსად ლორდ გრეისა ფიქრობენ, რომ წმინდა კონსერვატიული მთავრობა უკეთესი იქნება ლოიდ ჯორჯის კოალიციონური მთავრობაზე.

**კოალიციონური უნიონისტები და ბონარ ლოუ.** ჩემბერლენის სიტყვა ბირმინგამში შეიცავს აზრს უნიონისტების თანამშრომლობისას ბონარ ლოუსთან. ბირმინგამის უნიონისტები აყენებენ ჩემბერლენის კანდიდატურას.

**კონსერვატორების და ლიბერალების გაერთიანება მუშათა პარტიის წინააღმდეგ.** კონსერვატორებსა და ნაციონალ ლიბერალებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალით ისინი ერთად გამოვლენ მუშათა პარტიის კანდიდატების წინააღმდეგ მიმდინარე არჩევნებში.

**სოც.-დემოკრატების პროგრამა.** გაერთიანებულმა სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ გამოიმუშავა შემდეგი პროგრამა, რომლითაც ის იხელმძღვანელებს მთავრობასთან მოლაპარაკების დროს: 1) აუცილებლად უნდა შეიქნეს წლის უახლოეს მეოთხედისათვის ფონდი უცხოეთის ვალიუტისა, რომელსაც ავრეთვე უნდა შეუერთდეს რეიხსბანკის ოქროს მარაგის ნაწილიც. ამასთანავე რეიხსბანკმა უნდა ხარჯოს თავის მარაგი მხოლოდ იმპორტის მიზნისათვის და უცხოეთისთვის გადასახდელათ; 2) რეიხსბანკის მიერ სესხის გაცემა უნდა გაფართოვდეს მით, რომ შემნახველ კასებს უფლება უნდა მიეცეთ მიიღონ შემოტანა ოქროს კურსით იმ მიზნით, რომ დაზღვეულ იქნენ წვრილი შემტანნი შეტანილი თანხის გაიაფებით ამ გზით შემოსული შემოსავალი უნდა მოხმარდეს მარკის კურსის გამაგრებას; 3) დაჩქარება ხარჯის აკრეფისა შეძლებულ კლასებიდან და აკრძალვა ფუფუნების საგანთა შემოტანის; 4) სახელმწიფოებრივი განაწილება კვების უმნიშვნელოვანეს საგანთა, რადგან თავისუფალმა ვაჭრობამ ხალხი სიმშილობამდი მიიყვანა. „ფორვერტსის“ აზრით სოც.-დემ. პროგრამა არ ატარებს ულტიმატიურ ხასიათს.

**—პარტიის კანდიდატები ინგლისის არჩევნები.** ამ დღეებში მუშათა პარტია გამოაქვეყნებს თავის საარჩევნო მანიფესტს; პარტიამ 400-ზე მეტ კანდიდატს აყენებს და პარტიის ლიდერებს იმედი აქვს 150 გაიყვანისა პარლამენტში. კონსერვატორებმა წამოაყენეს 425-ზე მეტი კანდიდატები, რომელთა პარლამენტში 300 თუ გავა. კოალიციონური და დამოუკიდებელი ლიბერალებიც აყენებენ ორას-ორას კანდიდატს. გარეშე დამკვირვებლები ამბობენ, რომ მუშათა პარტია ვერ აფასებს კარგათ თავის შანსებს, რადგან მას შეუძლია მიიღოს 200 ადგილი. ინგლისის კომუნისტური პარტია მომხრეა მუშათა პარტიის კანდიდატებისათვის აქტიური დახმარებისა მთლიანი ფრონტის შექმნის მიზნით კაპიტალისტური პარტიების წინააღმდეგ.

— [illegible] მეფის [illegible] პარლამენტი და [illegible] 20 ნოემბრისათვის. არჩევნები უნდა შესდგეს 4—15 ნოემბრამდი.

— **კატასტროფის წინაშე.** რეიხსკანცლერმა ვირტმა პარტიის ლიდერებს გაუკეთა სენსაციური განცხადება: „გერმანიას,—სთქვა მან, აღარ ძალუძს ამიერიდან შეასრულოს სეპარაციის შესრულება ნატურით მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო, გერმანიამ ყოველდღე დრონე უნდა იხმაროსო. დაუმატა ვირტმა, რომ ნაციონალური კატასტროფა გადაურჩესო“.

— **კიდევ კატასტროფიული მდგომარეობა.** შვეციის ფინანსთა მინისტრმა ერთ კრებაზე აღნიშნა, რომ შვეციის ეკონომიური მდგომარეობა ამ ჟამად თითქმის კატასტროფიულია. შვეციის სახელმწიფოებრივი ვალი ამ ჟამად მილიარდს შეადგენს, რომელიც ორჯერ აღემატება 1913 წლის ვალს მინისტრი მოუწოდებს უდიდეს მომჭირნეობისაკენ.

# იტალიის ამბები

**შრომის ბირჟისათვის ცეცხლის წაკიდება**

პარიზი 6 ნოემ. რომას გაზეთ „ტრიბუნის“ ცნობით, ფაშისტებმა ბრეშნიაში ცეცხლი წაუკიდეს შრომის ბირჟას.

**ფაშისტები მოქმედებენ**

მოსკოვი 6 ნოემ. ანდრიიდან მესაჯ[...]რო იუწყება, რომ ფაშისტებმა გაანადგურეს ყველა კომუნისტური და სოციალისტური კლუბები და საზოგადოებები და დაიკავეს ყველა საზოგადო შენობები. ატყდა სროლა, რომლის დროს დაიჭრა 3 კაცი, ასეთი ამბები დატრიალდა იტალიის სხვებ ქალაქებში.

**ბრძოლა ფაშიზმთან**

მოსკოვი 6 ნოემ. შვეციის კომუნისტების ლიდერი თავის წერილში გაზეთ „პოლიტიკენ“-ში მოუწოდებს შვეციის პროლეტარიატს შვეციაში დაწყებულ ფაშისტურ მოძრაობის საწინააღმდეგოდ შექმნას თავდაცვის ერთიანი ფრონტი.

**არჩევნები ინგლისში**

მოსკოვი 6 ნოემ. ლონდონიდან იუწყებიან, რომ 1426 წამოყენებულ კანდიდატებისაგან 441 კონსერვატორია, 41[...] მუშათა პარტიის, 336 ლიბერალების, 135 ნაციონალ ლიბერალების, 13 ირლანდიელ ნაციონალისტების და 67, დამოუკიდებელი და სხვა პარტიების მხრენი არიან.

**ერთიანი პროლეტარული ფრონტი**

მოსკოვი 6 ნოემ. შრომის უნიტარულ რევოლუციონური კონფერენცია პარიზში აწყობს 150 მასიურ მუშათა კრებებს ერთიან პროლეტარულ ფრონტის საკითხის შესახებ.

# ახლო აღმოსავლეთი

**კონფერენციის გადადება**

მოსკოვი 6 ნოემ. ლოზანის კონფერენცია გადაიდვა 28 ნოემბრისათვის.

**ეგვიპტელების მოთხოვნილებანი**

პარიზი 6 ნოემ. „მატენის“ ცნობით კაირიდან ლოზანაში გაემგზავრა ეგვიპტის პოლიტიკურ პარტიების დელეგაცია დიფერენციის მუშაობაში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით.

**ოსმალეთის ეროვნული დღესასწაული**

ბორდო 6 ნოემ. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ ერთხმად მიიღო რაუფ-ბეის წინადადება ორი ნოემბრის დღე და ღამე (სულთანის გადაყენება და იმპერიის გაუქმება) აღიარებულ იქმნას ოსმალეთის დღესასწაულად. გადაწყვეტილია, რომ ახალი ხალიფა არჩეულ იქნება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის სარელიგიო სექციის.

**სტამბოლში**

ბორდო 6 ნოემ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ სტამბოლის მთავრობის გადადგომის გამო და ანგორის მთავრობის განკარგულების თანახმად სელედ-ფაშამ მიიღო თავის თავზე სტამბოლის მართვა-გამგეობა.

# რუსეთი

**რუსეთი და ლოზანის კონფერენცია**

მოსკოვი. 6 ნოემბერი. ახლო აღმოსავლეთის ლოზანას კონფერენციაზე მიწვევის საპასუხოდ სრუტეების საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ნოტა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებს.

„რუსეთის მთავრობა, ნათქვამია ნოტაში სავსებით უსამართლოდ სთვლის (გამოტოვებულია)... მათ ბედით რუსეთი მთავრობა ადი[...]

რებს, რომ მიწვეულ სახელმწიფოებს ეუცხოებათ ის აზრი, რომ აღადგინონ ოსმალეთის სრული უფლებები თავის ტერიტორიაზე და ზღვებზე, აღნიშნავს რა პერიოდს ბრძოლისა (გამოტოვებულია)... ოსმალეთის ხელუხლებლობის წინააღმდეგ, მხოლოდ საბჭოთა რუსეთი შედგა მებრძოლ ოსმალეთის ხალხთან მეგობრობის გზაზე.

ნოტაში აღნიშნულია, რომ სახელდობრ კონფერენციაზე მონაწილეთა რიცხვიდან გამორიცხვა (გამოტოვებულია)... ამტკიცებს ანტანტის განზრახვას, რათა წაერთვას ოსმალეთის ხალხს თავისი გამარჯვების ნაყოფი. საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს ყველა ჩაგრულთ მეგობარს. მან წამოაყენა უფლება ყველა ერის თვითგამორკვევისათვის და დაიჭირა მეგობრული კავშირი აღმოსავლეთის ერებთან. ამისათვის ის მოვალედ სთვლის თავის თავს გაატაროს ლოზანას კონფერენციაზე იგივე პრინციპები, ვინაიდან ოსმალეთის ხალხისათვის ყველა უფლებების წართმევას შეუძლია გაართულოს მტკიცე წესრიგი ახლო-აღმოსავლეთში, რომლის განხორციელებით დაინტერესებულია თვით რუსეთი.

აღიარებს რა, რომ საბჭოთა რუსეთის გამორიცხვა კონფერენციაზე მონაწილეობაში სავსებით წარმოადგენს ლახვარის ჩაცემას საერთაშორისო მდგომარეობისათვის, რუსეთის მთავრობა კვლავ ამტკიცებს, რომ სრუტეების საკითხის სხვა დანარჩენ საკითხებისაგან დამოუკიდებლად განხილვის ცდა ვერ მიგვიყვანს მტკიცე და ხანგრძლივ შედეგებამდე საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ სრუტეებში ხანგრძლივი რეჟიმის დამყარება მჭიდროთ დაკავშირებულია იმ მდგომარეობისაგან, რომელიც განზრახულია დამყარდეს ახლო-აღმოსავლეთში. რუსეთის მთავრობას ეჭვი არ შესდის, რომ თუ მოკავშირეებს განზრახული ჰქონდეთ მტკიცე ზავის ჩამოგდება ისინი არ შეეცდებოდენ რუსეთის გამორიცხვას ახლო-აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრაში მონაწილეობისაგან.

ყოველივე ამის და აგრეთვე საბჭოთა რუსეთის საარსებო ინტერესების ღირსების და კანონიერ უფლებათა დაცვისათვის, რუსეთის მთავრობა იძულებულია გადაჭრით მოითხოვოს თავისი სრული მონაწილეობა და აგრეთვე უკრაინისა და საქართველოს მიწვევა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სხვა მონაწილეებთან ერთად თანასწორ უფლებებით. რუსეთის მთავრობა სთხოვს მოკავშირეებს გასცენ პასუხი უახლოეს ვადაში, რათა რუსეთის დელეგაციას საშუალება მიეცეს თავის დროზე გაემგზავროს კონფერენციაზე.

**ამნისტია**

**მოსკოვი** 6 ნოემბერი. სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტის დადგენილებით ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გამოცხადებულია ამნისტია. სასჯელისაგან თავისუფლდებიან სრულებით ისინი ვისაც პირობით ქონდა მისჯილი თავისუფლების აღკვეცა, შემდეგ ყველა ისინი, ვისაც ერთი წელი ქონდათ მისჯილი და (დამახინჯებულია) რაიონებში. პროდუქტების ქურდობისათვის და გაფლანგვისათვის გასამართლებულნი.

იმათ, ვისაც მისჯილი აქვთ ერთ წელზე მეტი სასჯელი შეუმცირდებათ მესამედიდან ნახევრამდე.

ამნისტია არ ვრცელდება იმათზე ვინც გასამართლებულია მძიმე კონტრ-რევოლიუციონურ დანაშაულობისათვის, მექრთამეობისათვის, არყის გამოხდისათვის და ბოროტმოქმედების განმეორებისათვის.

სრული ამნისტია მიენიჭათ კრონშტატის ამბოხების უმნიშვნელო მონაწილეთ. ამბოხების მეთაურებზე და საკომანდო შემადგენლობაზე ამნისტია არ ვრცელდება. იმათ, ვიზედაც გავრცელებულია ამნისტია, უფლება ენიჭებათ დაბრუნდნენ რუსეთში სამხედრო ტყვეებისათვის არსებულ წესების პირობით სრულიად რუს. ცენტრ. აღმ. კომ, დადგენილებაში კრონშტატის ამბოხებაში მონაწილეთა ამნისტიის შესახებ შემდეგია ნათქვამი".

„ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის აღსანიშნავად სრ. რ. ც. ა. კ. სასჯელისაგან გაანთავისუფლა კრონშტატის ამბოხების მონაწილე მუშები და გლეხები, რომელნიც მოტყუილებით ჩარეული იყვნენ აჯანყებაში. მაგრამ, ისინი, ვინც საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების გარეშე გაფანტულნი არიან, საერთაშორისო ბურჟუაზიის ექსპლოატაციას განიცდიან, რათა მოტყუებულ მუშებს და გლეხებს მიეცეთ საშუალება გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული რესპუბლიკის წინაშე. ც. ა. კ. დაადგინა მისცეს მათ რუსეთში დაბრუნების საშუალება სამხედრო ტყვეებისათვის არსებულ პირობებში. უკანასკნელი ვადა ამნისტიით სარგებლობის სურვილის განცხადებისა არის 1923 წ. პირველი მაისი".

**ვლადივოსტოკის აღების გამო.**

**მოსკოვი.** 5 ნოემბ. ბრძანება წითელი ფლოტისადმი 25 ოქტომბერს, დღის 4 საათზე, შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარები შევიდნენ ვლადივოსტოკში. საზღვაო სარდლობა ულოცავს სამხედრო მეზღვაურებს მიღწეულ გამარჯვებას შორეულ აღმოსავლეთის თეთრ გვარდიელების ბანდების და უცხოეთის ოკუპაციისაგან განთავისუფლებისათვის. ეხლა, როცა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას აქვს თავისი გასავალი წყნარ ოკეანეს ტალღებში, არის შესაძლებლობაც იმისათვის, რომ შევუდგეთ ფლოტის აღმშენებლობას შორეულ-აღმოსავლეთში. გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას და წითელ ფლოტს.

**კომინტერნის კონგრესი.**

**მოსკოვი.** 6 ნოემ. კომინტერნის კონგრესის წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ პეტროგრადში ეგებებიან დიდი ზეიმით პეტროგრადის მცხოვრებლები. გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები კონგრესის დელეგატების მონაწილეობით. მიტინგზე გამოვიდნენ კლარა ცეტკინა, ზინოვიევი, ლუნაჩარსკი და სხვა ამხანაგები. გაეგზავნა მისალმება ამხ. ლენინს. კონგრესი იხსნება 5 ნოემბერს საღამოთი.

## საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდება

# რესპუბლიკის ყველა მცხოვრებლებისადმი

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!**

საქართველოს გლეხკაცობას კვლავ საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. ჯერ კიდევ თვენახევრის წინად (7—8 სეტქ.) საქართველოს ზოგიერთი მაზრების სოფლებისა და ქალაქის მცხოვრებლები ძალიან დიდად დააზარალა ნიაღვარმა და წყალდიდობამ, რომლებმაც წალეკა მთელი სოფლები და აუწერელი ზიანი მიაყენა მათ. ნიაღვარმა სავსებით გაანადგურა მრავალი სოფელი; წისქვილები, გზები, ქუჩები და ხიდები დაანგრია და წალეკა. დაიღუპა დიდი ნაწილი მოსავლისა და მრავალი ოთხფეხი საქონელი. ზოგან ადამიანის მსხვერპლიც..იყო. დაზარალებული მცხოვრებლები ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, რომ ეს თავზარდამცემი სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, კვლავ განმეორდა უფრო მეტის საშინელებით. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში თცდასამს და 24 ოქტომბერს დაწყებულმა გაუდაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია ისეთი დიდი წყალდიდობა, რომლის მზგავსიც ჯერ არავის ახსოვს. მტკვარმა, რიონმა, ცხენისწყალმა, ყვირილამ და სხვა დიდმა თუ პატარა მდინარეებმა მოიმატა 4—6 არშინით და მეტით, წალეკა მთელი რაიონები. დასავლეთ საქართველოში ბევრი სოფელი და ქალაქი (ფოთი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ჭიათურა, სამტრედია და სხვ.) წყალ ქვეშ მოექცა. აზვირთებულ წყალს მოჰქონდა ყველაფერი: სახლები, საოჯახო ნივთები, მოსამალი. ოთხფეხი საქონელი და სხვა. აღწერა მთელი ამ უბედურებისა და განადგურებისა ყოვლად შეუძლებელია. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად: სენაკის ქუთაისის და შორაპნის მაზრებში, გლეხობის დიდმა ნაწილმა დაკარგა თითქმის ყველაფერი; მოსავალზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან იგი თითქმის სავსებით დაიღუპა. განადგურებისა და ზარალის რაოდენობა ჯერ ჩვენ არ ვიცით დაახლოვებითაც კი. მაგრამ მას ალბათ ვერც ასეული მილიარდები დაფარავს. უკანასკნელი წყალდიდობისაგან მცხოვრებლებისათვის მიყენებული ზარალი განუზომელია; დაიღუპა არა მარტო მოსავალი, არამედ ოთხფეხი საქონელიც, ნიაღვარმა წალეკა სახლები, ხიდები და გაანადგურა დაცემული მეურნეობის აღდგენის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების დიდის შრომისა და ჯაფის ნაყოფი. ამ რიგად ათეული და ასეული ათასი მცხოვრებლებისა რჩება არა მარტო ულუკმაპუროდ, არამედ უსახლკაროდაც. ამ ნიადაგზე აუცილებლად წარმოიშვება უამრავი ეპიდემიური ავადმყოფობანი, მით უმეტეს, რომ წყალდიდობამ თითქმის ყველგან დასტოვა ტბები, ჭაობები და სხვ., რომელიც ეგზომ ხელს უწყობს მიაზმების გავრცელებას.

ამ გვარად საბჭოთა საქართველო დღეს ძალიან მძიმე და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა მოეწყოს დაზარალებულ გლეხკაცობის დახმარების საქმე. ამისათვის დიდძალი თანხებია საჭირო. საბჭოთა მთავრობამ უკვე მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ ამისათვის საკმარისი რესურსები არ მოეპოვება. საჭიროა რათაც უნდა დაგვიჯდეს ამ სახსრის გამოძებნა სხვა გვარი საშუალებებით. ჩვენ ვიცით, რომ ყველა რაიონები არ დაზარალებულა ამ უკანასკნელი წყალდიდობით, როგორც მაგალითად, კახეთი და ქართლის ნაწილი. საჭიროა, რომ არა დაზარალებულ მაზრების გლეხკაცობამ თავის თავად გაუწიოს დახმარება დაზარალებულ რაიონებს ყველაფრით, რითაცკი მათ ეს შეუძლიათ.

ამასთან ერთად საჭიროა ეხლავ შეუდგეთ ყველგან შემოწირულებათა შეგროვებას ფართო მასშტაბით. ამ შემოწირულების შეგროვების საქმეში უნდა ჩაებან საბჭოთა და პარტიულ-პროფესიონალური ყველა ორგანიზაციები, ყველა სახალხო კომისარიატები, პროფკავშირთა საბჭო და სხ.

საქართველოს საბჭოთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი გულმხურვალე მოწოდებით მიმართავს საქართველოს ყველა მუშებსა და გლეხკაცობას და ყველა მოქალაქეთ აღმოუჩინონ ჩვენ დაზარალებულ ძმებს შეძლებისადაგვარი დახმარება ფულით, ტანსაცმელით, სურსათით, წამლით და სხ. რომ გადავარჩინოთ ისინი სიმშილსა და სიკვდილს.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ასეთივე მოწოდებით მიმართავს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს გაუწოდონ თავისი დახმარების ხელი საქართველოს მოძმე მუშებსა და გლეხობას, რომელთაც თავს დაატყდა ასეთი საშინელი სტიქიური უბედურება.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მისი მხურვალე მოწოდება სათანადო გამოძახილს ჰპოვებს მუშებისა და გლეხების გულში.

საბჭოთა ხელისუფლება არა ერთხელ ყოფილა ჩავარდნილი ასეთ მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ მას ყოველთვის გამოუნახავს შესაძლებლობა ასეთ მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსასვლელად.

იგი ახლაც გამონახავს სათანადო ძალ-ღონეს ღირსეულად დააღწიოს თავი ეხლანდელ მძიმე მდგომარეობასაც.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს აგრეთვე დაზარალებულ გლეხობასა და მუშებს მოწოდებით არ დაეცნენ სულით და არ ჩავარდენ სასოწარკვეთილებაში, არამედ ეხლავ შეუდგნენ თვითდახმარების საქმის მოწყობას, ხოლო დანარჩენ მცხოვრებლებს იგი მოუწოდებს არ დაივიწყოთ თავისი დამშეული ძმები, დები, ბავშვები და მოხუცნი, რომელნიც ამ სტიქიურ-უბედურებამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

მაშ საქმისაკენ ამხ. მუშებო და გლეხებო! დაუყოვნებლივ შეუდექით ეხლავე ყველგან და ყოველ ადგილას დახმარების საქმის ორგანიზაციას, შემოწირულებათა შეგროვებას და ყოველი შეწირულება უშუალოდ გადაუგზავნეთ საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **თ. კილანდაძე.**

# ახალი ამბები

**სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა.** გ. მ. გრიგორიანის მოხსენებაზე რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ყრილობა გადავიდა მოხსენებებზე ადგილებიდან.

საერთო შთაბეჭდილება პირველ ნოემბერს დილისა და საღამოს სხდომების განმავლობაში მოსმენილ მოხსენებებისა ადგილებიდან დამაკმაყოფილებელი იყო.

ნათქვამებიდან ირკვევა, რომ სტატისტიკამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაიპყრო ხალხის—ფართო მასსის შეგნება და ასეთივე მაგალითი ხდება თვით ადგილობრივ აღმასკომების გარშემოც, რომელიც ამის გამო ვერ უწევს სათანადო, ფართო დახმარებას სტატისტიკის განვითარებას ადგილებზე. საკუთარი მატერიალურ საშუალების უქონლობა მრავალ გზით ხელს უშლის სტატისტიკურ ბიუროს ნამდვილ დანიშნულების სიმაღლეზე აყვანას. ყველა მომხსენებლები ხაზს უსვამენ სტატისტიკურ ანგარიშების ორგანიზაციის საჭიროებას ზემოდან, ე, ი. ნარკომატებმა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით — დააყენონ სტატისტიკის წარმოების საქმე ადგილებზე. ასეთი ანგარიშების უქონლობით წარმოუდგენელია რომელიმე მხარის ცხოვრების შესწავლა.

ვინაიდან კორესპონდენტები ძალიან ახლოს დგანან სოფელთან და მისი სასოფლო—სამეურნეო ცხოვრების შესწავლაში დიდ როლს თამაშობენ, ყველა სტატისტიკური ბიუროები შეგნებულ და მუდმივ საიმედო კორესპონდენტთა რაზმის შესადგენად იძლევიან მთელ რიგს წინადადებისა სხვა და სხვა ზომების მისაღებათ. მაგ. განთავისუფლება კორესპონდენტისა ადგილობრივ „ნალოგებისაგან“, გავრცელდეს მათზე საბჭოს მოსამსახურეთა ყველა პრივილეგიები და სხვა და სხვა. მხოლოდ 2—3 მაზრაში არის მიღებული ასეთი ზომები და საქმეც შესაფერ დიდ ნაყოფს იძლევა. ამას გარდა სტატისტიკურ ბიუროსათვის გინაზღვრული შტატის გამომუშავებაა საჭირო ან და წინააღმდეგ შემთხვევაში გაღებული იქნას ამ საქმის სასურველ დონეზე დასაყენებლათ სათანადო თანხა. აღნიშნულმა მოხსენებებმა ყრილობის დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათი გადაიდო ადგილებიდან [illegible] რების შემო[illegible].

არ [illegible] რომ ყრილობა, როგორც თავის შემადგენლობით, ისე ყველა საკითხების სერიოზული გაშუქებით ძრიელ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

— **ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეებმა** დაადგინეს: 6 ნოემბერს იმუშაონ: მთელი დღის შემოსავალი გადაირიცხება ქუჩის ბავშვების სასარგებლოდ. მხოლოდ ამ დღეს არის მომატებული ტრამვაის ტარიფი, 1—2 მარშრუტი—კირკის ქ. —10,000 მან. ზემელამდე—15,000 მ. ზემელიდან თავისუფ. მოედ.—10,000 მ. ვოგზალი—20,000 მ. ქ. კირკის—15,000 მ. დანარჩენი მარშრუტებით 1—ვოგზალზე—10,000 მან. მე-2 ნომერი—15,000 მ. ამ დღეს წლიური ბილეთები არ მიიღება.

ტრამვაის დირექტორი.

— **ლენინის სახელობის მუშათა უბანი.** მიუხედავად საკავშირო პროფკავშირის დადგენილებისა, რათა, რათა გადადებული ყოფილიყო ორი მილიარდი მანეთი პირველი მუშათა უბნის გასაშენებლად მეთამბაქოე მუშებისათვის, თამბაქოს ტრესტის გამგეობამ უარყო ამ თანხის გაღება და ამიტომ ცენტრომშენის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ უბანი გადასცეს პროფკავშირსაბჭოს განკარგულებაში კავშირებს შორის ბინების გასანაწილებლად.

— **ამინდები ტფილისში.** უკანასკნელ დღეებში ტფილისში მზიანი დღეებია.

— **ახალი სამშენებლო კოოპერატივი.** შესდგა კუკიის ახალი საბინაო—სამშენებლო კოოპერატივი.

— **ცენტრომშენი.** ცენტრომშენის გამგეობამ დაადგინა თავის სხდომები გამართოს თვეში ორჯერ, ხოლო მიმდინარე საქმეთა გადაწყვეტა გადაეცა პრეზიდიუმს.

**შეცდომების გასწორება.**

„ტრიბუნას“ № 336-ში პრესაში შემდეგი კორექტორული შეცდომაა: სწერია: ყველა ის საქმეები, რაც მიმართულია ცალკე რესპუბლიკების კომპენტენციიდან, უნდა იყოს: ...რაც გამოყოფილია ცალკე რესპუბლიკების კომპენტენციიდან,

ჩვენი გაზეთის 335 №-ში ახალ ამბავში მოთავსებულ მეეზოვეებში კულტურულ მუშაობის შესახებ, შეცდომით გაშვებულია ...პატრონების შემოსავლიდან გადასახადათ 30 პროცენტი, უნდა იყოს 3 პროც.

## სამხატვრო ქრონიკა

— **ლიტერატურო ხუთშაბათი.** ხუთშაბათს, ნოემბრის 9-ს გაიმართება მორიგი 23 ლიტერატურული ხუთშაბათი დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო. სიტყვებს იტყვიან: ვალერიან გუნია, ნ. შიუკაშვილი, შალვა დადიანი, კ. მაყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია. დასაწყისი 8 საათზე.

— **ჟურ. „ლომისი“** გამოვიდა „ლომისის“ მორიგი № 10 შემდეგი შინაარსით: საგულისხმო შენიშვნები—ი. პროფესორი ალ. ცაგარელი—პროფ. ა. შანიძისა, ჩემი მოგონებები—ხომლელისა. მინიატიურები—ვალ. გუნიასი, მიხ. ბოჭორიშვილის და დემნა შენგელაიასი. ოპერის კვირეული—ინენის. ქრონიკა.

— **სტუდიაში** აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდია ამით სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც აქვთ წაღებული გასავრცელებლად ზემოხსენებულ სტუდიის ლატარიის ბილეთები—ანგარიში გაასწორონ არა უგვიანეს ამ თვის ათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებულ იქნება პრესაში და პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

— **ხელოვანთა სასახლე სომხეთში.** მხატვარ სარიანის თაოსნობით ერევანში გაიხსნა ხელოვანთა სასახლე.

— **ბლიუმენტალ ტამარინის ავადმყოფობა.** მსახიობი ბლიუმენტალ-ტამარინი, რომელიც ერთი თვის წინ გაემგზავრა ტფილისიდან რუსეთს, როგორც იტყობინებიან

მძიმე ავად ყოფილა ტუბერკულიოზით. ავადმყოფი მსახიობი იმყოფება ხარკოვში.

— ახალი თეატრი. სამზადისი მუშაობა ახალი თეატრის სეზონის გახსნისთვის თითქმის დამთავრებულია. სეზონი გაიხსნება 10 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება უაილდის „სალომეია". სეზონი გაიხსნება კ. მარჯანიშვილის ახალი დადგმით.

— საბავშვო თეატრი. სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სამხატვრო-სალიტერატურო სექციამ შეადგინა საორგანიზაციო პროექტი ტფილისში საბავშვო თეატრის გახსნისათვის. პროექტში აღნიშნულია, რომ საბავშვო წარმოდგენები კვირაში უნდა იქნას ორჯერ შემდეგ თეატრებში: სახელმწიფო ოპერაში, რუსთაველის თეატრში და სახალხო სახლში.

სახელმწიფო თეატრი. ოთხშაბათს, 8 ნოემბერს პირველად განახლების შემდეგ ოპერა „ლაკმე".

მონაწილ. პოპოვა, სარაჯიშვილი შარაშიძე და სხ. დირიჟორობს ო. მ. ბრონი.

# თეატრი და ხელოვნება

## უგვირგვინო მეფენი.

შაბათს, ნოემბრის 4-ს, რუსთაველის თეატრში დასდგეს ა. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი". პიესა კარგად იყო დადგმული, მაგრამ დარბაზის კარები ძალიან უშლიდა ხელს ილიუზიას. აუცილებლად ამას ყურადღება უნდა მიექცეს და სცენაზედ ან ნამდვილი კარები გაკეთდეს ან ისე გამაგრდეს ჩარჩოები და ისე გაიჭიმოს ზედ ტილო, რომ არ იზნიქებოდეს და იკეცებოდეს გაღების დროს. თორემ ყოველგვარი ილიუზია იკარგება, როცა მაყურებელი ხედავს, რომ სასახლის დარბაზს ან უბრალო ოთახს ტილოზე დახატული ცუდად მიმაგრებული კარები აქვს. ამის გამოსწორება სულ უბრალო საქმეა და დაუდევრობით მშვენიერი დეკორაციების შთაბეჭდილებას ნუ გავაფუჭებთ.

შესრულებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და ზოგჯერ თამაშსაც აწყვეტინებდნენ ტაშით, მაგრამ ეს უფრო პიესის ეფექტიან ადგილებს მიეწერება, ვინემ თამაშს. საერთოდ ყველა ხელგრილად ასრულებდა თავ-თავის როლს. შადიმანი, მაგ., რომლის დასახასიათებლად მდიდარი მასალა მოუცია პიესის ავტორს,—ისე ზეპირად ამბობდა ინტრიგების ჯოჯოხეთურ ქსელს, რომ ერთხელ არ დაფიქრებულა. თეკლეს ალერსს და სიყვარულს მეფისადმი არ ეტყობოდა გულწრფელობა; უფრო ტუქსის(?) ალერსს მოაგონებდა, ისე უგულოდ ლაპარაკობდა მარტო სიტყვებს. მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა მან საკმაო გრძნობა და ტემპერამენტი. ეს მაშინ, როცა თეკლე მიმართავს მამხილებელი სიტყვით სასახლეში შემოჭრილ აშლილ(?) თავადებს. მაგრამ მეტად უხერხულ მდგომარეობაში იყვნენ ამ დროს თავადები. იდგნენ სტატისტებივით და უცდიდენ იმ დროს, როცა მათაც უნდა ეთქვათ როლით დანიშნული სიტყვები. მეფე ლუარსაბს არ ეტყობოდა მეფური სიდარბაისლე და მიხვრა-მოხვრა. კეთილი, მაგრამ მეტად სუსტთებიანი(?) და დიდკაცების სათამაშოდ გამხდარი ახალგაზრდა ლუარსაბი ძრიელ საინტერესო ფსიქოლოგიური ტიპია, რომლის განსახიერება არ გაუჭირდებათ ჩვენ მსახიობთ თუ მოისურვებენ. ყველას ისევ სააკაძე სჯობდა. მისი თამაში არ იყო ისე უგულო, როგორც სხვებისა, თუმცა ზოგჯერ მასაც ეჩნეოდა, რომ არ იყო როლში შესული. კარგი იყო როცა თეკლეს ტუქსავდა მეფისაგან ბეჭდის მიღებისათვის, მაგრამ არ ვარგოდა, როცა ალერსზედ გადავიდა. არ იყო დამაკმაყოფილებელი პირველ მოქმედებაშიაც, როცა სააკაძე მეფეს უშლის თავის დიად გეგმებს. საქართველოს გაერთიანება სააკაძის აკვიატებული იდეა იყო და მასზედ საუბრის დროს უფრო გატაცებული უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შანშიაშვილის სააკაძეს აკლია ერთი თვისება ისტორიული სააკაძისა. პიესაში სააკაძე არავითარ ზომებს არ ღებულობს და არც კი ჰფიქრობს უკმაყოფილო თავადების ინტრიგებზედ, თუმცა კარგად იცის, რომ უკანასკნელნი უბრძოლველად არ დასთმობენ თავიანთ პოზიციას. თუ არ კახაბერი, სააკაძე მსხვერპლი გახდებოდა შადიმანის ინტრიგების. თუ ჩვენი გმირი არ იყო ისეთი ვერაგი, როგორც ზოგიერთებსა ჰგონია, ყოველ შემთხვევაში არც ისეთი გულუბრყვილო იქნებოდა, რომ არ ეფიქრა თავდაცვაზედ და ზომები არ მიეღო. კაცი, რომელიც ასეთ ძნელ და მაღალ მიზანს ისახავდა, რომელიც ისე ამაღლდა, რომ მთელი სახელმწიფოს ბედს ატრიალებდა, ვერ იქნებოდა ისეთი „ტეტია", როგორიც ავტორსა ჰყავს გამოყვანილი.

დილეტანტი.

# საქ. დამშეულთა მთავარ კომიტეტში

## რევიზია

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში. ა/წ. 21 ენკენისთვის მთავარი კომიტეტის სხდომის დადგენილების № 18 თანახმად, დანიშნულ იქმნა ამ კომიტეტის მუშაობა—მოქმედების სრული რევიზია, რისთვისაც არჩეულ იქმნა საგანგებო სარევიზიო კომისია შემადგენლობით: საქართველოს კომპარტიის ცეკის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის და თვით მთავარი კომიტეტის თითო წარმომადგენლისაგან. (მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი, უფროსი რევიზორი, მოწვეული იყო ამ კომისიაში, როგორც სპეცი ამ დარგში), ხსენებული კომისია შეუდგა მუშაობას ამა წლის 11 ოქტომბერს, რომელმაც გასტანა 18 ოქტომბრამდე და რომლის განმავლობაში კომისიის მთელი შემადგენლობა სისტემატიურად განაგრძობდა მუშაობას (დილის 9—3-დე და საღამოს 5—9 საათამდე) კომიტეტის მდივნის და მთავარი ბუხგალტერის თანადასწრებით. კომისიის მუშაობა ამ ხნის განმავლობაში იყო მეტის-მეტად მძიმე და სერიოზული, გარჩეულ და გაცხრილული იქნა დაწვრილებით კომიტეტის ყოველგვარი შემოსავალ-გასავლის გასამართლებელი საბუთები, როგორც ფულის ისე სურსათის, ინვენტარის, მანუფაქტურის და სხვა წვრილმანი საქონლისა. გარდა ამისა განხილულ იქნა კომიტეტის საქმის წარმოება და ყველა ამის შემდეგ, როდესაც კომისია გაეცნო დაწვრილებით ამ კომიტეტის მუშაობას, მის მოქმედებას დამშეულთა დახმარების საქმეში და კომიტეტის შტატს—აღმოაჩინა, რომ კომიტეტის მუშაობა ყოველ მხრივ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, როგორც მისი საერთო მუშაობის გეგმის, ისე საქმის საერთო მსვლელობის, ბუხგალტერიის, საქმისწარმოების და საწყობების მხრივ. ამ უკანასკნელებში ზედმიწევნით კარგათაა დაცული საქმის როგორც არსებითი, ისე ფორმალური მხარეები და კომიტეტის ყოველ გვარ შემოსავალზე და გასავალზე ინახება სათანადო გასამართლებელი საბუთები. ასევე ითქმის კომიტეტის საწყობებზე, სადაც არავითარ დეფექტებს ადგილი არ ჰქონია. საქმის წარმოება მთავარი კომიტეტისა დაყენებულია ჩინებულად და ყოველგვარი მიმოწერა—განკარგულებანი, რეზოლიუციები და მთავარი კომიტეტია დადგენილებანი სრულდებიან დროზე და დაუგვიანებლად.

რევიზიის დამთავრებისას სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილ იქნა სათანადო ოქმი დაწვრილებითი აღნიშვით მთავარი კომიტეტის მუშაობა-მოქმედებისა და სრული ანგარიშისა, რომელიც კომისიის დასკვნით წარედგინა საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის სხდომის პლენუმს განსახილველად. მთავარმა კომიტეტმა, გაეცნო რა აღნიშნულ ოქმს და გაითვალისწინა რა კომიტეტის მუშაობა, ხცნო ის სავსებით დამაკმაყოფილებლად და ა/წ. 27—ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი № 19) ამხ. ფილ. მახარაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა მოისმინა რა სარევიზიო კომისიის მოხსენება და გაეცნო რა მის მიერ წარმოდგენილ რევიზიის ოქმს დაადგინა:—„1. მთავარი კომიტეტის აპარატის მუშაობა ცნობილი იქმნას სავსებით დამაკმაყოფილებლად, აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ენერგიული მუშაობა, რისთვისაც კომიტეტის მდივანს ამხ. აკაკი მენაბდეს და კომიტეტის ყველა თანამშრომლებს ენერგიული და კეთილ სინიდისიერი მუშაობისათვის გამოეცხადოს მადლობა. 2. მოეთხოვოს ყველა იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც მიღებული აქვთ მთავარი კომიტეტისაგან სესხი და ავანსები, წარმოადგინონ ასეთები ორი კვირის განმავლობაში".

განსაკუთრებული სარევიზიო კომისია.

# მოწერილი ამბები

## მდინარე ენგური

სმოლნიკოვის დასკვნა სამაზრო ერობის შუამდგომლობასთან ერთად, ცენტრალურმა მენშევიკურმა მთავრობამ წაიკითხა(?) და ეს საშური საქმე დღემდე დარჩენილია მოუწესრიგებლად. დღეს კი სმოლნიკოვის წინასწარმეტყველება თითქმის მართლდება და ამიტომ მდინარე ენგურის ნაპირების გამაგრების და მაშასადამე, მაზრის უმოსავლიანეს კუთხის განადგურებისაგან აცილების საქმე, მთელი თავისი სიმწვავე(?)-სიგანით და გაასკეცებული სიმწვავით წამოიჭრა საბჭოთა მთავრობის წინაშე. მაზრის ეკონომიურმა განყოფილებამ, რომლის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენდა ამ საქმისთვის გაძღოლა, პირველ ხანებში თითქმის ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს. მან 1921 წელს აგვისტოში კიდევაც აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე ენგურის ნაპირების გასამაგრებლად საჭირო ტეხნიკურ პერსონალის და თანხის გადების შესახებ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მან გამოიჩინა უნარი და მეცადინეობა, რომელსაც მოყვა შედეგად ის, რომ ეს ზუგდიდის მაზრისათვის დიდი მნიშვნელობის საქმე დარჩა გაუკეთებელი ანდა ნახევრად გაკეთებული.

ჩვენ სამწუხაროდ ხელთ არ გვაქვს საბუთები იმის შესახებ, თუ ვისი მიზეზით დაბრკოლდა ეს საქმე და ის რის გაკეთება შეიძლებოდა შარშან, უნდა გაკეთდეს წელს. ჩვენ არ ვიცით აქ დამნაშავეა უფრო სამაზრო ეკონომიური განყოფილება თუ უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭო, ან ჰიდრო სამელიორაციო(?) განყოფილება ან კიდევ მიწათ მოქმედების კომისარიატი, მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევაში გვგონია და ვამბობთ, რომ მაზრის ეკონომიურ განყოფილებას, როგორც ასეთს, როგორც ამ საქმის ინიციატივის პირველ ინსტანციას, როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელსაც ყველაზე მეტად სცალია ამ საქმისათვის და დაინტერესებულია მით, უნდა გამოეჩინა მეტი უნარი და ფხა და არ წამოეჩოქა იმ ზოგიერთ დამაბრკოლებელ პირობების წინაშე, რომელიც მას წინ გადაეღობა, მით უმეტეს, რომ მის მხარეზე იყო ხალხის ფართო თანაგრძნობა და დახმარება ყოველმხრით, რაც უკანასკნელისაგან დამოკიდებული იყო. აქვე უნდა ვსთქვათ სამწუხაროდ ისიც, რომ არც ცენტრალური მთავრობა მოეპყრა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღებით და თანაგრძნობით. ეკონომიური განყოფილების მიერ 1921 წელს აგვისტოში აღძრულ შუამდგომლობაზე უმალ. სახ. სამ. საბჭოს ჰიდრო სამელიორაციო განყოფილებამ მხოლოდ 1922 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში გამოგზავნა ინჟინერი ფირალოვი ენგურის ნაპირების დასათვალიერებლად.

ინჟინერმა ფირალოვმა დაათვალიერა ნაპირები და მდგომარეობა შეაფასა ისევე, როგორც წინეთ სმოლნიკოვმა. მის მიერვე იქნა შედგენილი აგრეთვე ნაპირების გამაგრების ახალი გეგმა, მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ეგ გმის შედგენა ერთია და მისი სისრულეში მოყვანა კი მეორე და უფრო ძნელი. მართალია ცენტრი დაჰპირდა მაზრას ამ საქმისათვის ტეხნიკური პერსონალის მიცემას, მაგრამ ეს ცოტაა საქმისათვის. ფირალოვის გეგმის თანახმად გასაკეთებელია ენგურზე დამბა 1000 კუბ. საჟენი და გასაწმენდია ძველი კალაპოტი 500 საჟ. მანძილზე. ამას კი როგორც იცით სჭირია გარდა უბრალო მუშა ხალხისა, გადასაზიდავ საშუალებათა და ადგილობრივ ხასიათის ხის და ქვის მასალისა, სხვა საშუალებებიც, რკინეულობა, სამუშაო იარაღები და ფული. მაზრას შეუძლია გაიღოს მუშახელი ურმები, დაამზადოს ადგილობრივ ხასიათის მასალა, მაგრამ ყველაფერს, რაც ამ საქმისათვის საჭიროა იგი შესძლებს—quo licet Iupiter' non lecet. jovi. ის რაც შეეფერის და შეუძლია სახელმწიფოს, მას საზრა ვერ შეიძლებს. ის, რასაც სახელმწიფო იოლად გააკეთებს, მას ერთი მაზრა ვერავითარი ღონის ძიებით ვერ მოახერხებს. ჩვენის აზრით ეს დიდი საქმე უნდა გაკეთდეს სახელმწიფო ან მაზრის მიერ საერთო ძალღონით. არც უნდა დაუშვას მთავრობამ, რომ ეს საქმე მთელი თავისი სიმძიმით დააწვეს მარტო ზუგდიდის მაზრას, რადგან მას აქვს დიდი საერთო მნიშვნელობაც. გარდა იმისა, რომ ენგურის ნაპირების გადამოლახვა ჩვენს რესპუბლიკას უძვირს მოსავლიან კუთხის, ზუგდიდის მაზრის ჩამოგლეჯით, მისი წყალობით იფანტება და იკარგება დაუშრეტელი მექანიკური ენერგია, რომლითაც მდიდარია მდინარე და რომლის ექსპლოატაცია უნდა იქნეს დასმული ჩვენი სამეურნეო მშენებლობის დღიურ წესრიგის მაშტაბში.

ამა წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ფირალოვის მიერ შედგენილ გეგმით დაიწყო მუშაობა ენგურზე და 3 თვის განმავლობაში 10 მაისამდე იქნა გაკეთებული სამუშაოს ნახევარი, ე. ი. 500 საჟ. დამბა და 300 საჟენის მანძილზე იქნა გაწმენდილი მდინარის ძველი კალაპოტი და სწორედ ამ დროს, როდესაც რჩებოდა გასაკეთებელი კიდევ 480 საჟ. დამბა, მუშაობა შესწყდა როგორც ამას ეკონომიური განყოფილება ამბობს, საჭირო საშუალებათა უქონლობისა გამო. დროებით იქმნა ცენტრიდან გამოგზავნილი სამუშაოს დამთვალიერებლად ინჟინერი ანდრონოვი, რომელიც უპირყოფით შეხვდა მუშაობის შეჩერებას და მოუწოდა სამაზრო აღმასკომს, რათა მიეღო ყოველივე ღონისძიება [illegible] შეჩერებული [illegible] დაჰპირდა [illegible] გაზუმ [illegible] და ყოველგვარი დახმარების გაწევას. ჩვენ დღემდე არ ვიცით რა ბედი ეწვია ინჟ. ანდრონოვის მოხსენებას ამ საკითხზე ჰიდრო სამელიორაციო განყოფილებაში.

ჩვენ არ ვიცით აგრეთვე ისიც, თუ რით არის უფრო გამოწვეული მუშაობის შეჩერება, საჭირო საშუალებათა უქონლობით და ცენტრალური მთავრობის უყურადღებობით, თუ ადგილობრივ ეკონომ. განყოფილების დაუდევრობით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს კი ცხადია, რომ ენგურის ნაპირების გამაგრება შეჩერებულია და დვთის ანაბარა მიტოვებული 9.000 დესეტინა უნაყოფიერესი მიწა, რომელსაც დღეს თუ ხვალ შთანთქავს უპირების სტიქიური უზედურება მდინარე ენგურის სახით, მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულმა გლეხ-კაცობამ გაიღო ამ საქმისათვის ათი ათასი ფუთი სიმინდი ისეთ შიმშილობის დროს, როგორიც იყო შარშან.

ჩვენ ვიმეორებთ და ვამბობთ, რომ ზუგდიდის მაზრაში მდინარე ენგურთან დაკავშირებით შექმნილია სერიოზული მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს სასწრაფო საწინაამდეგო ზომებს. დაყოვნება ამ საქმეში შეუძლებელია, ენგურის ნაპირები უნდა გამაგრდეს ამ ზამთრის განმავლობაში, თორემ გაზაფხულზე, როდესაც დაიწყება წყალდიდობა, ადვილი მოსალოდნელია ენგური იმდენად გადაარღვევს თავის ნაპირებს, რომ შემდეგ შეუძლებელი გახდება მისი შემაგრებაც.

საჭიროა სახალხო სამეურნეო საბჭომ, მიწათ-მოქმედების კომისარიატმა და ყველა იმ დაწესებულებებმა, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ ამ საქმესთან, თავის დროზე მიაქციონ ამას სერიოზული ყურადღება.

შან—შენ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დაკარგე სარეგისტრაციო ბარათი მოცემული ტფილისის მაზრის კომისარიატიდან ჩაითვალოს გაუქმებულად.
ელიაშვილი ბესარიონ.
№ 340.

● რუსთაველის თეატრი ●
სახელმწიფო აკადემიური დრამა
სამშაბათს 7 ნოემბერს
კაი ბრაკხი
დადგმა აკაკი ფალავასი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
კრ. 528 1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა
ოთხშაბათს 8 ნოემბერს
ლაკმე
ხუთშაბათს 9 ნოემბერს
აიდა
დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
კრ. 527. 1—1

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი"
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.
10—7 ფასები დაკლებულია.



[illegible] მთავ. სამმ. პოლიგრაფიული განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ.